საქართველო მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში (ბათუმის ოლქის მაგალითზე)

ირმა გოგოლიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
e-mail: irma.gogolidze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2022.781

საქართველოს ისტორიის ურთულეს პერიოდში (1918-1921წწ.) ქვეყნის ისტორიულ ნაწილი, ბათუმის ოლქი, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად (რომანოვების იმპერიის დაშლა, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და მისი თანმდევი დიპლომატიური კამპანია, პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი ბლოკი სახელმწიფოების კაპიტულაცია) დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ობიექტი გახდა. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა რუსეთის, თურქეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის ინტერესები. სწორედ ამ რაკურსით: მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში, რეგიონით დაინტერესებული დიდი სახელმწიფოების კავკასიური პოლიტიკის ფონზე გავაანალიზეთ საქართველოს ისტორიის ეს ურთულესი პერიოდი.

ბათუმის კუთვნილების პრობლემა ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ,,ახლო აღმოსავლეთის“ საკითხის გააქტიურებიდან გამომდინარე, მოექცა საერთაშორისო პოლიტიკის ფოკუსში. მიზეზი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ევროპულ სახელმწიფოთა და რუსეთის იმპერიის ინტერესთა დაპირისპირება იყო. ბათუმის კუთვნილების პრობლემის გადაჭრა, სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, რუსეთის საგარეო-პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენდა. ბათუმის გამო მეტოქეების (რუსეთი და ოსმალეთი) წინააღმდეგობა გასცდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხს და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საერთაშორისო ურთიერთობის მწვავე პრობლემად იქცა, ბერლინის კონგრესი ამის დადასტურებას წარმოადგენდა: აქცენტი კეთდებოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე. არსებული ძალთა ბალანსის შენარჩუნების მიზნით ინგლისი ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის იმპერიის ხარჯზე რუსეთის გაძლიერებას. ბრიტანულმა დიპლომატიამ მოხერხებულად გამოიყენა ბათუმის საკითხი სრუტეებისა და ბალკანეთის პრობლემების

დასარეგულირებლად. ინგლისის დელეგაციის მცდელობის მიუხედავად, რომლის მიზანიც ოსმალეთის შემადგენლობაში ქალაქის დატოვება, ან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ე.წ. ბათუმის ,,დამოუკიდებელი სახანოს“ (ლაზეთის სახანო) შექმნა იყო, ბერლინის ტრაქტატის თანახმად (1878 წლის 13 ივლისი), ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიები: ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით, აჭარა, არტაანი, შავშეთ-იმერხევი, ძველი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიები რუსეთს გადაეცა. მოგვიანებით რუსეთის პოზიცია განმტკიცდა და ბათუმის პორტო-ფრანკო გაუქმდა (1886 წელი). ბათუმის ოლქში დაიწყო რუსული პოლიტიკური ინტერესების განხორციელება:

- ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში და მუჰაჯირთა მიწების კოლონიზაციისათვის დაქვემდებარება;
- სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კომპაქტური დასახლებების შექმნა თურქებთან ომის შემთხვევაში დასაყრდენი ძალის გაჩენის მიზნით;
- რელიგიურ-საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება განსხვავებული აღმსარებლობის მქონე მოსახლეობაში უთანხმოების მიზნით.

რეგიონის შესვლით რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ისტორიული ნაწილი დაუბრუნდა დედასამშობლოს, თუმცა ცხადია, რუსეთი, პოლიტიკური, სტრატეგიული, ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი იმპერიის გაფართოებაზე ზრუნავდა და არა საქართველოზე.

რუსეთის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად (1917 წელი) კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში შეცვლილი ძალთა ბალანსი ხელსაყრელი აღმოჩნდა ახალგაზრდა თურქთა ინტერესებისათვის. მათ მიეცათ შესაძლებლობა დაებრუნებინათ რუსეთის მიერ ოკუპირებული ანატოლიის ტერიტორიები და განემტკიცებინათ პოზიციები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. 1917 წლის 15 ნოემბერს სოციალ-დემოკრატიული, დაშნაკ-ციუტუნის, მუსავატის, სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა პარტიების კოალიციის პრინციპზე, ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით, ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა რუსეთს, თუმცა მიღებული დეკლარაციის თანახმად (18 ნოემბერი) უფლებამოსილებას ინარჩუნებდა რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე. დამოუკიდებლობის გამოუცხადებლობამ უარყოფითად იმოქმედა პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

საჭიროა გავაანალიზოთ რამ განაპირობა ოსმალეთის პოლიტიკის გააქტიურება საქართველოში. 1913 წლის ბოლოსათვის ოსმალეთის იმპერიაში დამყარდა ახალგაზრდა თურქთა დიქტატურა. ახალგაზრდა თურქთა პროგრამა თურანიზმი (პან-თურქიზმი), როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში, ხოლო ოსმალეთის სახელმწიფოს წარმართველ იდეოლოგიად გადაიქცა პირველი მსოფლიო ომის წინ. თურქებმა თანდათანობით დაკარგეს ინტერესი ყველა იმ ტერიტორიის მიმართ, რომელიც მათი წარმოდგენით არ იყო თურქული და არ იმყოფებოდა თურქული მოდგმის ხალხების დამაკავშირებელ გზებზე. შესაბამისად, საქართველოს საკითხი თურქიზმის თეორიის პრაქტიკული რეალიზაციისათვის პრიორიტეტული აღმოჩნდა. საზავო პირობების პროექტი, რომლის მიღებასაც ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე ცდილობდა ოსმალეთის დელეგაცია

გამოხატავდა თურანის ინტერესებს: არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქების გადაცემა, 1878 წლამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვრების აღდგენა, კავკასიის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობა, ეროვნული თვითგამორკვევის უფლების გავრცელება რუსეთში მცხოვრებ მუსლიმ ხალხებზე[ო.გიგინეიშვილი(1963):168]. ნიშანდობლივია, რომ ბრესტ-ლიტოვსკში ბათუმისა და ბათუმის ოლქის საკითხი ოსმალეთის დელეგაციამ დასვა და გერმანელების მხარდაჭერა მოიპოვა. ბრესტის ზავის თანახმად, რუსეთს ჯარები უნდა გაეყვანა არა მარტო ანატოლიის პროვინციებიდან, არამედ ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქებიდანაც და მათი შემდგომი ბედი თვითგამორკვევის გზით უნდა გადაწყვეტილიყო. საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ბათუმის ოლქის პოლიტიკურ სტაბილურობას სერიოზული საფრთხე შეექმნა. ჯერ ამიერკავკასიის მთავრობის, რომელმაც რეალურად ვერ შეაფასა სამხრეთ კავკასიაში არსებულ ძალთა თანაფარდობა, ხოლო შემდეგ ეროვნული მთავრობის უძლურების გამო, ოლქის კუთვნილების საკითხი კვლავ იქცა საერთაშორისო დაინტერესების ობიექტად და ამჯერად, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობაში დაიკავა უმნიშვნელოვანესი ადგილი. ამიერკავკასიის მთავრობამ სადავო საკითხების მოგვარება ოსმალეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებებით სცადა ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე. ტრაპიზონის კონფერენციაზევე გაირკვა რომ თურქებს ბრესტის ზავის პირობები აღარ აკმაყოფილებდათ, მაგრამ რადგანაც საბჭოთა რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფა ფორმალური აქტით დეკლარირებული არ იყო, ახალი ტეროტორიული მოთხოვნების საკითხი (რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლამდე არსებული საზღვრების აღდგენა) დაისვა არა ტრაპიზონის, არამედ ბათუმის კონფერენციაზე [ო. გიგინეიშვილი(1982): 147]. ტრაპიზონის კონფერენციის პარალელურად, თურქებმა, ისარგებლეს ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური სისუსტით და დაიკავეს უფრო ვრცელი ტერიტორია, ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით იყო დადგენილი. 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა გამოაცხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და გადაწყდა საზავო მოლაპარაკებების განახლება თურქებთან.

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში შექმნილი ვითარება ხელსაყრელი შეიქმნა გერმანიისათვისაც. გამოიკვეთა გერმანიის სტრატეგიული და პოლიტიკური ინტერესები: ბრესტში თურქთა დაპყრობით გეგმების მხარდაჭერის მიუხედავად, არ აპირებდა მათთვის კავკასიის დათმობას. გერმანულმა დიპლომატიამ, რომელიც სამხრეთ კავკასიაში თურქების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ბრესტის ზავამდე არ რეაგირებდა, ოსმალური ორიენტაციის კავკასიური სახელმწიფოს შექმნის გეგმას დაუპირისპირა კავკასიის ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა. უთანხმობა ცხადი გახდა ბათუმის კონფერენციაზე (კონფერენცია ორ ეტაპად მიმდინარეობდა: 1918 წლის 11-26 მაისი და 31 მაისი-4 ივნისი. პირველ ეტაპზე მოლაპარაკება გაიმართა ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის, ხოლო, მეორე ეტაპზე, ოსმალეთსა და ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის) [მიხეილ სვანიძე (1999):185]. გერმანიის დელეგაცია მონაწილეობდა შუამავლის ფუნქციით. ქართველმა დიპლომატებმა სცადეს შეეზღუდათ თურქეთის ექსპანსიური მისწრაფებები გერმანელების მეშვეობით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკისათვის საქართველოში პოზიციების

განმტკიცება პრიორიტეტული იყო (აზერბაიჯანი და სომხეთი, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას კავკასიაში) ქართული პოლიტიკის სამოქმედო სივრცე მაინც ოსმალეთთან და რუსეთთან ურთიერთობის ჩარჩოებით შემოიფარგლა. ამიერკავკასიის რესპუბლიკის არსებობა შეუძლებელი აღმოჩნდა: რეგიონში ერთმანეთს უპირისპირდებოდა, როგორც დიდ სახელმწიფოთა ინტერესები, ასევე, სამხრეთ კავკასიის ხალხების რადიკალურად განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური კონცეფციები. მართებულად შენიშნავს რ. გაჩეჩილაძე: ,,თეორიულად ფედერაციას ერთაშორისი მშვიდობის განმტკიცებისათვის უნდა ეზრუნა, პრაქტიკულად კი მას არ გააჩნდა შინაგანი ერთიანობის საფუძველი. ეთნოტერიტორიული დავებით აღსავსე მრავალეროვანი სახელმწიფო სიცოცხლისუნარიანი არ იყო“ [რევაზ გაჩეჩილაძე, (2017): 136]. ფედერაცია დაიშალა, წარმოიქმნა საქართველოს დემორატიული რესპუბლიკა, რომელიც, თურქთა აგრესიის პირობებში, პროგერმანული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გზას დაადგა. ბათუმის ოლქი, დედსამშობლოსთან კვლავ მოწყვეტილი, თურქთა მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. თუმცა მალევე მუდროსისა და კომპიენის საზავო ხელშეკრულებებმა შეცვალეს სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა განლაგება და ოლქის კუთვნილების საკითხმა უკვე ინგლის-საქართველოს ურთიერთობაში დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი. საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა აღედგინა სუვერენული უფლებები ბათუმის ოლქზე.

მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების შედეგად გერმანია-ოსმალეთმა დატოვა სამხრეთ კავკასია. 1918 წლის 13 ნოემბერს ხელმეორედ დამტკიცდა ინგლისისა და საფრანგეთის შეთანხმება (23.12.1917.) ზედამხედველობის სფეროების განაწილების შესახებ და კავკასია ინგლისის გავლენის სფეროში მოექცა [ა. სურგულაძე; მ. სიორიძე (1996):45]. დიდი ბრიტანეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში საქართველოს საკითხი განიხილებოდა ,,რუსეთის საკითხთან“ ერთად, რაც განაპირობებდა ბრიტანული დიპლომატიის ,,ორმაგი სტანდარტის“ პოლიტიკას საქართველოსადმი. ინგლისის პოლიტიკური ელიტა ბათუმის ოლქს მიიჩნევდა თურქთათვის ჩამორთმეულ საოკუპაციო ზონად და არა საქართველოს ტერიტორიად. შესაბამისად, ინგლისის პოლიტიკას ბათუმის ოლქში საქართველოს ინტერესებისაგან განსხვავებული ამოცანა ეკისრებოდა: ოსმალეთის აზიური სამფლობელოების, ,,ოსმალეთის ამიერკავკასიის“ განაწილება, ბათუმის ნავსადგურის გამოყენება და უარეს შემთხვევაში, ,,პორტო-ფრანკოს“ სტატუსის აღდგენა [რ. ცუხიშვილი(1995):9]. ბათუმის ოლქი ინგლისელთა საგენერალ-გუბერნატოროდ გადაიქცა. ინგლისის ხელისუფლების დასაყრდენს რუსთა ეროვნული საბჭოს წევრებით დაკომპლექტებული ოლქის მმართველი საბჭო წარმოადგენდა, რაც ,,რუსეთის საკითხში“ ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკის: ანტიბოლშევიკურ ძალებზე ორიენტაციის შედეგი იყო. სწორედ ,,რუსეთის საკითხის“ ამგვარმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა ინგლის-საქართველოს ურთიერთობათა საკვანძო - ბათუმის საკითხში ინგლისის პოლიტიკა. 1919 წლის ზაფხულში მოკავშირეებმა გაიყვანეს სამხედრო ფორმირებები სამხრეთ კავკასიიდან, რადგანაც ბრიტანულმა დიპლომატიამ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებზე ორიენტირება და ბოლშევიკურ რუსეთთან დაპირისპირება მიუღებლად მიიჩნია. საქართველოს

მნიშვნელოვანი ნაწილიდან ინგლისელების გასვლის მიუხედავად ბათუმში ბრიტანეთის ოკუპაცია გრძელდებოდა. ბათუმის საკითხი მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს კონფერენციაზე ლონდონში (1920 წლის თებერვალ-მარტი) განიხილებოდა დიდი სახელმწიფოებისა და რეგიონული სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარე. საქართველოს დელეგაციის მცდელობის საწინააღმდეგოდ, აღედგინა სუვერენული უფლება ქვეყნის ისტორიულ ნაწილზე, ბათუმი ერთა ლიგის დაქვემდებარებულ ნავსადგურად ცხადდებოდა, ხოლო მოგვიანებით ბათუმისა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებისაგან ,,პატარა სახელმწიფოს“ შექმნის შესაძლებლობაც განიხილებოდა, რასაც სან-რემოს კონფერენციაზე (1920 წლის აპრილი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. უმთავრესი, რის გამოც ვერ მოხერხდა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება, ერთი მხრივ, ბოლშევიკურ რუსეთთან ომის საფრთხე, ხოლო, მეორე მხრივ, ბათუმის საკითხის გამო სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა შორის არსებული უთანხმოება იყო. ცხადი გახდა, რომ საქართველოს ეროვნულ მთავრობას საკუთარი ძალებით უნდა გადაეჭრა არსებული პოლიტიკური საკითხები, რადგანაც დიდი ბრიტანეთი, ამ მოცემულობაში, არ დაუპირისპირდებოდა ბოლშევიკურ რუსეთს და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას ვერ გაუწევდა.

ბათუმის ოლქის საკითხის გადაწყვეტაზე ზეგავლენა მოახდინა 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებამ. რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და აღიარა მისი უფლებები სადავო ტერიტორიებზე. მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობას უნდა მიეღო ზომები თავისი ტერიტორიიდან უცხოელთა ჯარების გასაყვანად. ცხადია, ამ მუხლის შესრულება ქმნიდა შესაძლებლობას აღედგინათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ამავდროულად იგი დასავლურ ორიენტაციაზე უარის თქმასაც ნიშნავდა. ინგლისის ხელისუფლებამ ცნო საქართველოს უფლება ბათუმის ოლქზე, რეგიონში აღდგა საქართველოს იურისდიქცია, რაც უდიდესი გამარჯვება იყო. ბათუმის ოლქის საქართველოს საზღვრებში დაბრუნებისათვის ეროვნულმა მთავრობამ, აჭარის მეჯლისმა, ოლქის ადგილობრივმა მოსახლეობამ, მთელმა ქართველმა ერმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა, მაგრამ ოლქის კუთვნილების საკითხის გადაჭრა დამოკიდებული აღმოჩნდა რეგიონით დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოთა კავკასიურ პოლიტიკაზე.

მალევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობასაც და ბათუმის ოლქის პოლიტიკურ სტაბილურობასაც რეალური საფრთხე შეუქმნა ერთი მხრივ, ბოლშევიკურმა რუსეთმა, ხოლო, მეორე მხრივ, პანთურქისტულმა ნაციონალიზმმა. ამჯერად უკვე საქართველოს ბედი რუსეთ-თურქეთის ალიანსზე დამოკიდებული აღმოჩნდა. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრამ სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ბათუმსა და ბათუმის ოლქში ისევ გაამწვავა. თურქეთის ქემალისტურმა ხელისუფლებამ სცადა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში შექმნილი ვითარება გამოეყენებინა კავკასიური პოლიტიკის განხორციელებისათვის და ბოლშევიკებთან ომში დახმარების სანაცვლოდ, მოითხოვა ართვინისა და არტაანის ოლქები. მათი დაკავების შემდგომ, იმ მოტივით, რომ საქართველო-თურქეთს შორის აღარ არსებობდა სადავო ტერიტორიები, ბათუმისა და მისი პროვინციის რუსებისაგან დაცვის მიზნით,

მოითხოვა თურქული სამხედრო ფორმირებების შეყვანა ბათუმში. დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თანხმობით თურქებმა დაიკავეს მთელი აჭარა, შევიდნენ ბათუმში და მეორე დღესვე ქალაქის ანექსია გამოაცხადეს [მიხეილ სვანიძე (2003): 178]. გასაკვირია ეროვნული მთავრობის ეს ნაბიჯი, რადგანაც ცხადი იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსიც და ბათუმის ოლქის მნიშვნელობაც ამ კურსში. ბათუმის ოლქი კვლავ გახდა პოლიტიკური დაპირისპირების ობიექტი, ამჯერადაც მისი ბედი დიდი სახელმწიფოების კავკასიურ პოლიტიკაზე აღმოჩნდა დამოკიდებული. 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა გაინაწილეს გავლენის სფეროები სამხრეთ კავკასიაში. საქართველოს ძირძველი მიწა-წყლიდან, რომელიც ბათუმის ოლქში ერთიანდებოდა, აჭარა და ბათუმი უკვე გასაბჭოებულ საქართველოს დაუბრუნდა, ხოლო ართვინი (ისტორიული კლარჯეთი) თურქებს დარჩათ. მოსკოვში დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, თურქები არ თმობდნენ ბათუმს. დემოკრატიული საქართველოს ჯარმა (გენ. გ. მაზნიაშვილი) სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მტერს. ქართული ჯარისა და ბათუმის ოლქის მოსახლეობის პატრიოტულმა სულისკვეთებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ბათუმისა და აჭარის შენარჩუნებაში. 1921 წლის გაზაფხულზე დასრულდა ორი დიდი მეზობელი სახელმწიფოს ცვალებადი წარმატებით მიმდინარე დაპირისპირება. საქართველოს და შესაბამისად, ბათუმის ოლქის ბედიც დიდმა პოლიტიკამ გადაწყვიტა. ბათუმის ოლქზე საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენისათვის ბრძოლას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საქართველოს მთავრობის საგარეო-პოლიტიკაში, მაგრამ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკამ და ,,პატარა ერების“ ინტერესების იგნორირებამ, მთელ რიგ მიზეზებთან ერთად, შეაფერხა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ერთი ნაწილის დედასამშობლოსთან დაბრუნება, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩა.

და ბოლოს, დასკვნის სახით, მივიყვანთ ჰენრი კისინჯერის მართებულ შენიშვნას: ,,ისტორია არ გვთავაზობს სახელმძღვანელოს, ან თუნდაც ანალოგიებს, რომლებიც სრულიად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ისტორია გვასწავლის მაგალითით“ [ჰენრი კისინჯერი (2021):1068]. კარგი იქნება თუ გავიაზრებთ და გავაანალიზებთ გასული საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი ქვეყნების კავკასიურ პოლიტიკას და ვიპოვით მინიშნებებს, რომლებიც დაგვეხმარება შემდგომი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმაში. მსოფლიოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ნებისმიერ სახელმწიფოზე და განსაკუთრებით პატარა ქვეყნებზე. აუცილებელია გაანალიზება თუ რატომ ხდება მსოფლიოში ესა თუ ის მოვლენა, რამდენად შესაძლებელია მათი პროგნოზირება და კონტროლი [დავით პიპინაშვილი (2009) : 3]. ისტორიული მაგალითების შესწავლა და სწორი ანალიზი განსაკუთრებით აუცილებელია დღეს, როცა საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი ისტორიული პერიოდის თავისებურებებმა უამრავი რთული შიდა და გარე გამოწვევების წინაშე დაგვაყენა.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე რ. (2017): საქართველო მსოფლიო კონტექსტში. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.
2. გიგინეიშვილი ო. (1982): ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი.
3. გიგინეიშვილი ო. (1963): თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბილისი.
4. კისინჯერი ჰენრი (2021): დიპლომატია. გამომცემლობა ინტელექტი. თბილისი.
5. პიპინაშვილი დ. (2009): სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
6. სვანიძე მ. (1999): ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დეკორატიული რესპუბლიკის დაარსება(1918 წლის 11მაისი-4 ივნისი) // ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ. 6.
7. სვანიძე მ. (2003): დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში // ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ.10. 154-189.
8. სურგულაძე ა; სიორიძე მ. (1996): პორტო-ფრანკო ბათუმში. ბათუმი.
9. ცუხიშვილი რ. (1995): ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წლებში. თბილისი.

Irma Gogolidze
Georgian Technical University

Georgia in the context of world politics
(On the example of Batumi region)

Abstract

The subject our research is the political situation in Batumi region –a historical part of Georgia, in the years of 1918-1921, and the role of big states (Russia, England, Turkey) in the creation and development of this political tension. As a result of ongoing political processes (dissolution of the Russian Empire, the Brest-Litovsk Treaty and the political campaign accompanied by it, capitulation of Germany and its block states in the first World war), Batumi region became the object of political and military opposition among different states. It was a place of interest for Russia, Turkey, Germany and Great Britain.